# დაბრუნება ცხოვრებასთან

იყო საღამო, გამოთხოვება,
იყო გარშემო ქარის ტრიალი.
მე ვუბრუნდები ახლა ცხოვრებას,
დ მომწყინდა ქუჩა და ხეტიალი.

ახლა თოვლია, ღამე დღეს მისდევს,
კმარა ცრემლები, მეყო წამება:
მიწიდან ცამდე სივრცეა ისევ,
მიწიდან ცამდე შავი ღამეა.

ცა სპეტკია, მთვარე დაბერდა
და ღამით ფიქრი უფრო ხშირია.
ჩემი ცხოვრება გადასხვაფერდა,
ჩემი ცხოვრება სხვანაირია.

რა ვქნა, გამეფდა სულში ჩრდილები
და პოეზია ჩემთვის ფიცია.

ახლა ვმსახურობ, ვემორჩილები
"ახალი სოფლისნ ექსპედიციას.

იყო საღამო, გამოთხოვება,
იყო გარშემო ქარის ტრიალი.
მე ვუბრუნდები ახლა ცხოვრებას,
მომწყინდა ქუჩა და ხეტიალი.